ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი N5

სხდომის ჩატარების დრო:

30 მარტი, 2022 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი N3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: ტ.ლილუაშვილი და თ.ნადირაძე, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ლ.სანიკიძე, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, კ.გურული, გ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

სულ: 35 წევრიდან 31 წევრი

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: გ.მანაგაძე, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, დ.ფხაკაძე.

სულ: 4 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი ი.ხახალეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები, ბატონები: ი.უგულავა, დ.ერემეიშვილი და ი.ქარქაშაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მოქალაქეთა მიღების, საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი მ.მამასახლისი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ბატონი პ.ადამაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ქალბატონი ე.გრიგორაშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი,

ბატონი ვ. გობეჯიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი ბატონი ი. გიორგაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი დ. ნიშნიანიძე, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მოქალაქეები: ა.ინჯია და ნ.ალავძე.

სხდომა გახსნა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონი ირაკლი შენგელიას წინადადებით, საკრებულოს წევრებმა და სხდომაზე დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო უკრაინაში დაღუპულ ქართველ მებრძოლებს.

საკრებულოს მიმდინარე სხდომის დღის წესრიგის პროექტის წარმოდგენამდე, სხდომაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ, გაკეთდა **განცხადებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ე.არჩაია** (პარტია „გახარია-საქართველოსთვის“): „მოგესალმებით ძვირფასო მეგობრებო. მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო მეტად მნიშვნელოვან და პრობლემურ საკითხს. ქუთაისისა და თერჯოლის ადმინისტრაციული საზღვრის მოუწესრიგებლობის გამო, მთელი რიგი დასახლებული პუნქტები ეფექტურად ვერ სარგებლობენ სოციალური და ჯანდაცვის სერვისებით. გაცნობებთ, რომ რკინიგზის სადგურ „რიონის“ მოსაზღვრე ბინებში „მუხნარის“ ადმინისტრაციული ერთეულის საზღვართან ცხოვრობს 33 ოჯახი, დაახლოებით 130 მოქალაქე, რომელთაგან 80 ამომრჩეველია, მათი უმრავლესობა ქუთაისის საზღვრებში გახსნილ საარჩევნო უბნებზე აძლევს ხმას. ბინების მაცხოვრებლები სამოქალაქო რეესტრის მიერ რეგისტრირებულნი არიან ქუთაისის მოქალაქეებად და სარგებლობენ ყველა სახის კომუნალური მომსახურებით. ყველა

ბინაში შექმნილია ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობები, რომლებიც 1997 წლიდან დაფიქსირებულია საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის მიერ, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ადგილობრივ მოსახლეობას სერიოზული პრობლემები ექმნებათ, რადგანაც საკადასტრო მონაცემებით ტერიტორია მიეკუთვნება თერჯოლის მუნიციპალიტეტს. ამ გაურკვეველი მდგომარეობის გამო, ვერ ხერხდება ბინების პრივატიზაცია და რეგისტრაციაში გატარება. პრობლემებია მემკვიდრეობის დამტკიცების, მათი კუთვნილი საცხოვრებელი ფართის ყიდვა - გაყიდვის გაფორმებისა და სხვა მომსახურების კუთხით. ყოველივე ეს, სერიოზულ ფინანსურ ზიანს აყენებს მოსახლეობას და ზედმეტ დაბრკოლებას უქმნის მათ. ადგილობრივი მოსახლეობა უკვე წლებია, სხვადსხვა გზით ითხოვს, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული ბინები მოექცეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკადასტრო საზღვრებში. მათ არაერთხელ მიმართეს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს პრობლემების მოსაგვარებლად, თუმცა, როგორც ჩანს, ამ პრობლემის გადაჭრა ცდება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების საზღვრებს და ის ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა დაარეგულიროს. მივმართავ ჩემს კოლეგებს თხოვნით, გაეცნონ და შეისწავლონ აღნიშნული საკითხი და დავეხმაროთ მოსახლეობას პრობლემის დროულად გადაჭრაში. მადლობა ყურადღებისათვის."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ამ საკითხის ირგვლივ იყო არაერთი მსჯელობა. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი კოლეგები და ბატონი ზაზა ლომინაძე დაგვეხმარება იმაში, რომ ამ პროცესის აქტუალიზაცია დაიწყოს. მე ვფიქრობ, საპარლამენტო დონეზე ამ საკითხის წამოწევა იქნება მართებული, რა თქმა უნდა, ადგილობრივი თვითმმართველობაც აირჩევს ფორმას და ჩვენს მოსაზრებებს და რეკომენდაციებს დავაფიქსირებთ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე:** „მოგესალმებით მეგობრებო. მე, რა თქმა უნდა, ვერ დავტოვებ უყურადღებოდ რაც ხდება ჩვენს ქვეყანაში. პირდაპირ დავიწყებ შეკითხვით ოპოზიციასთან, მათ თუ ჰყავთ ვინმე ახლობელი ისეთი, რომელსაც საკუთარი შვილი არ უყვარს და სხვისი შვილისათვის თავი გაუწირავს. მაინტერესებს,

ერთი რამ, რატომ შეიძულეს საკუთარი ქვეყანა ასე? რატომ სძულთ ის ადგილი, სადაც დაიბადნენ, გაიზარდნენ და ცხოვრობენ? რაც შეეხება იმას, რომ თითს გვიქნევთ, თქვენ თითს არ დაგაქნევინებთ, იმასთან დაკავშირებით, რომ თურმე, არ უნდა ვახსენოთ ჩვენი ისტორია, თქვენს მიერ ჩადენილი „საქმენი საგმირონი“. რაც შეეხება 2008 წლის ომს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობდა, ამ დროს ქვეყნის მაშინდელი მთავარსარდალი, როგორ ღეჭავდა წითელ ჰალსტუხს, შოკოლადში მეგონა ამოვლებული და მეორე, როგორ გორავდა. ძალიან არ მოგწონთ, მაგრამ უნდა მიიღო ის, რაც არის რეალობაში. ამის შემდეგ, თქვენმა პარტიამ და ხელისუფალმა იზეიმა წაგებული ქვეყანის წაგებული ომი. იმ დროს, როდესაც ჩვენი ჯარისკაცების ცხედრები დატოვეთ ცხინვალში ცხოველების საჯიჯგნად. ჩვენი პატრიარქი, რომ არა, უწმინდესისა და უნეტარესის ძალისხმევა, ცხედრებს ვერც ნახავდა დაღუპულთა ოჯახები. თქვენ წითელ ხიდზე ჩადექით რიგში გასაქცევად. ეს არის ლაჩრობის კლასიკური მაგალითი, რაც თქვენმა პარტიამ ჩაიდინა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გრ.შუშანია**: „თქვენ დარჩით მხოლოდ „ქართული ოცნების“ წევრები, რომლებიც თვლით, რომ ომი 2008 წელს ჩვენ დავიწყეთ. რას ლაპარაკობთ, სირცხვილია თქვენი ხელისუფლებაში ყოფნა. „იმედისა“ და „ალტ ინფოს“ ინფორმაციას ნუ მოგვასმენინებთ, თამარ მეფის ქუჩაზე გაქვთ გახსნილი და მიბრძანდით და რამდენიც გინდათ მოუსმინეთ, ჩვენ ნუ გვასმენინებთ. საბედნიეროდ, ყველას არ ეხება ეს, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ მიბრძანდეთ „ალტ ინფოს“ ოფისში. დღეს არც ერთი პოლიტიკოსი არ ეუბნება უკრაინის პრეზიდენტს, რომ ალყაშემორტყმული ქალაქებიდან მიცვალებულები ვერ გამოგყავთო. სირცხვილია, როდესაც მმართველი გუნდის წარმომადგენელი ასე იქცევა. მე-5 კოლონა ამ ხელისუფლებაშია. როდესაც ჩვენ წუთიერი დუმილით პატივი მივაგეთ უკრაინაში დაღუპულ გმირებს, ნამდვილად მისასალმებელი ჟესტი იყო და ამის შემდეგ უკვე ვისმენთ ასეთ განცხადებებს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრეიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ბატონო ირაკლი, თუ მსგავსი

განცხადებების გაკეთება არ შეწყდება, ჩვენ დავტოვებთ სხდომას. შეურაცხმყოფელია ეს განცხადებები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე:** „ლაჩარი მთავარსარდლის გინებას გავაგრძელებ ნამდვილად. ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი გამოდის და ამბობს, რომ ეროვნული ინტერესებისა და სახელმწიფო ინტერესების იქეთ არაფერს გავაკეთებო. თქვენ აყვირდით. ერთი ამბავი რატომ ატეხეთ ხალხნო? სახელმწიფო ინტერესები თქვენთვის უცხო ხილია, ეროვნული ინტერესები თქვენთვის მიუღებელია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გრ.შუშანია**: „რა იცის ირაკლი ღარიბაშვილმა სახელმწიფო ინტერესები რა არის?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე:** „სახელმწიფო და ეროვნული ინტერესები თქვენთვის მიუღებელია. კეთილი ინებეთ გაიხსენეთ წარსული და მერე გამართეთ ურაპატრიოტიზმი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გრ.შუშანია**: „ბატონო ირაკლი, თქვენ ეთანხმებით ამ განცხადებას?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „პოლიტიკურ შეფასებებში, თქვენ თუ მოისმენდით განცხადებებს, ყოველთვის ვიყავი და ვარ ადეკვატური, როდესაც საუბარია კონკრეტული პოლიტიკური პირის განცხადებაზე, კეთილი ინებეთ და მოისმინეთ, როდესაც თანამდებობის პირი აკეთებს განცხადებას, ამას ჭირდება მოსმენა. შეიძლება ბევრი თქვენი და ზოგადად ოპოზიციის განცხადება ჩემთვის არის მიუღებელი, მაგრამ მიწევს მისი მოსმენა. საზოგადოება ამას უყურებს და ხედავს, ამ ინსტიტუციისადმი დამოკიდებულება განისაზღვრება ამით. ყველაზე დიდი ტრაგედია, რაც იყო და მომხდარა ჩვენს ქვეყანაში, არის ერთმანეთთან დაპირისპირება. შეიძლება ბევრი ვიმსჯელოთ იმ ხელისუფლებას რა

გაუკეთებია, ან ეს ხელისუფლება რას აკეთებს, მაგრამ დაპირისპირება და ერთმანეთისათვის შეურაცხყოფის მიყენება, არის მიუღებელი, მით უმეტეს, ამ ინსტიტუციიდან.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ანეკდოტია ასეთი: „მე დევიწყე თუ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.ნადირაძე**: „მოგესალმებით მეგობრებო, მეც მაინტერესებს ერთი საკითხი, ჩვენ ვიმყოფებით საკრებულოში. ქალაქის წარმომადგენლობით ორგანოში არჩეულია საკრებულოს წევრები მოსახლეობის მიერ. მე მინდა, პატარა ციტატა წავიკითხო ზუსტად, ქრონოლოგიურად. მე მაინტერესებს აზრი იმ წევრებისა, ვისაც ჩვენი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მისცა ხმა. ეს სიუჟეტი იყო შუაგული ომის დროს, უკრაინის 24-ე არხზე გადიოდა, რომელიც ერთ - ერთი რეიტინგული ტელევიზიაა უკრაინაში. გთხოვთ მომისმინოთ: „სიმართლე გითხრათ, ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ საქართველოს ხელისუფლებაში იქნებოდნენ ადამიანები, რომლებიც ამ რთულ დროს, როდესაც უკრაინაში ადამიანები იღუპებიან და მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა პუტინისა და რუსეთის ეკონომიკის წინააღმდეგ ასეთ მკაცრ სანქციებს აწესებს, ქართველები, ანუ საქართველოს ხელისუფლება ეძებენ რაღაც შავ ხვრელებს, რომ დაეხმარონ პუტინს, შექმნას იარაღი, რათა შემდეგ მოკლას“ და ამას ამბობს ქალი, რომელიც თქვენ, ლამის, მერად მოუვლინეთ ქუთაისს. ჩვენი საკრებულოს სხდომა მიმდინარეობს პირდაპირ ეთერში და მინდა ჩვენმა მოსახლეობამ მოისმინოს თქვენი პოზიცია. ბატონო გიგა, ან თქვენ, ან თქვენი ფრაქციის წევრებმა მიპასუხეთ: კი თუ არა, ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ ჩვენ უკრაინელი მოსახლეობის მკვლელობაში ვიღებთ მონაწილეობას. მილიონამდე ადამიანია, რომელიც მთავრობისა და ხელისუფლების კურსს მხარს უჭერს, ეს არის იმ მილიონი ადამიანის შეურაცხყოფა და მკვლელობაში დადანაშაულება. ამას ეთანხმებით თუ არა, ან კი, ან არა და მინდა თქვენგან პასუხი მოვისმინო.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გრ.შუშანია**: „ეს შეკითხვა სჯობს დაუსვათ თქვენს პრემიერ - მინისტრს და ყურადღება მიაქციოთ იმ განცხადებებს,

რომელსაც ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეები და ამერიკის ელჩი აკეთებენ. ამ მთავრობასთან მეტ-ნაკლებად დაახლოებული გერმანიისა და საფრანგეთის ელჩები, რომ მოგიწოდებთ, არ გახდეთ შავი ხვრელი რუსეთის სანქციების თავიდან აცილებისათვის, ყველა შავი ხვრელით შეძენილი ფული, რა თქმა უნდა, იქნება შეძენილი უკრაინელი მოსახლეობის წინააღმდეგ. ერთადერთი, რაც შემიძლია გავაკეთო, შემიძლია უკრაინის სახელმწიფო ჰიმნი ჩავრთო უკრაინელი ხალხის სოლიდარობის ნიშნად და ფეხზე წამოვდგე.“

(სხდომათა დარბაზში პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ, გაჟღერდა უკრაინის სახელმწიფო ჰიმნი).

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.ნადირაძე**: „ესე იგი, ეთანხმებით ხომ, ბატონო გიგა, ამ ქალის გამონათქვამს უკრაინულ ტელეარხზე, შუა ომის პერიოდში? ან კი გვითხარით, ან არა! მაგ ჰიმნი მოსმენილი გვაქვს და მომავალშიც მილიონჯერ მოვუსმენთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრეიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „აბა, გადახედეთ ვინ იბრძვის უკრაინაში, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, რომ აყენებთ შეურაცხყოფას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე:** „ქალბატონო ანა, აფხაზეთის ომში საკუთარი ქვეყნის დაცვას ჩემი ოჯახის წევრები შეეწირნენ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გრ.შუშანია**: „ჩემი დეიდაშვილიც შეეწირა აფხაზეთის ომს და თავი შეიკავეთ პრორუსული განცხადებებისაგან.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე:** „საკუთარ სამშობლოზე საუბარი არ არის პრორუსული განცხადებები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **მ.ჭოხონელიძე** (პარტია „ქართული ოცნება“)**:** „ყველა თავს ვალდებულად ვთვლით, დავეხმაროთ უკრაინელ ხალხს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გრ.შუშანია**: „ეს განცხადება მოგეწონათ? საზოგადოების გახლეჩვისაკენ არ იყო მოწოდებული ეს განცხადებები? ისედაც ეკონომიკური კრიზისია, ხალხი შეშინებულია და ასეთი განცხადებები უნდა ისმოდეს საკრებულოს სხდომიდან?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.ჩიხლაძე** (პარტია „ქართული ოცნება“): „მივესალმები საზოგადოებას. მე პირადად ჩემი დიდი სურვილისა, მომესმინა ჩემი კოლეგის საუბარი, ვერ გავიგე რაზე საუბრობდა. თქვენი აღშფოთების მიზეზიც ვერ გავიგე, ვინაიდან, არ მომეცა მოსმენის საშუალება. არავის არ გვაკლია განათლება და კულტურა. გთხოვთ, პატივი ვცეთ ერთმანეთს. ვის უფრო მაღალი ხმა გვაქვს, ამაზე აპელირება უხერხულია. ვერ გავიგე რა თემაზე საუბრობდა ქალბატონი მარეხი ამ ხმაურის გამო.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ბატონო გიგა, არ არის ეს ის ფორმა, რომლითაც უნდა გამოხატოთ აზრი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **დ.ბახტაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ბატონო ირაკლი, თქვენ მოგწონთ ეს განცხადება? უკვე მერამდენედ ხდება ისეთი რამ, რომ პროვოცირება ხდება თქვენი მხრიდან და მერე არის მცდელობა, რომ ჩვენ გადმოგვაბრალოთ. საუბარი იყო ქალბატონი მარეხის მხრიდან ბატონი ღარიბაშვილის სახელმწიფო ხედვებზე, ეს პირადად ჩემთვის ძალიან სასაცილოა, რამეთუ, თქვენმა არაფორმალურმა მმართველმა განაცხადა, რაც გინდათ ის უწოდეთო და ეს კაცი ჩვენდა სავალალოდ იწოდება ქვეყნის პრემიერ - მინისტრად. მინდა შეგახსენოთ, როდესაც სახელმწიფოებრივ ხედვაზეა საუბარი, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვები, უკრაინის მხარდამჭერი აქციის შეფასების დროს. მან განაცხადა, რომ ამ აქციაში იკვეთებოდა ანტისახელმწიფოებრივი ტექსტები, როდესაც პრემიერი ამბობს ასეთ სიტყვებს, ეს როგორ უნდა შეფასდეს?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „საზოგადოება და ხალხი აფასებს, არ ვიცი მე თქვენ იცნობთ თუ არა

კვლევებს, რომელიც წარმოდგენილია და გაეცანით იმ კვლევებს. მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **დ.ბახტაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ძალიან „ობიექტური“ ორგანიზაციაა „გორბი“. ყველა ვიცნობთ იმ კვლევებს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მე ვფიქრობ, იგივე ელჩების განცხადება, ჩვენი პარტნიორების განცხადება, ცხადყოფს, ჩვენ არავინ არ გვთხოვს სანქცირებას, ამ პროცესში ჩართულობას. შეგიძლიათ გაეცნოთ კვლევის შედეგებს და მათ შორის, იმ განცხადებებს, რომელსაც აკეთებენ ჩვენი პარტნიორები. კვლევა იმ შუაშია, რომ საზოგადოების აზრს და დაკვეთას ხელისუფლების მისამართით აჟღერებს. სწორედ ასე მოქმედებს ხელისუფლება, რომ უნდა უპასუხოს მოქალაქეების აზრს. ანტისახელმწიფოებრივი პოზიცია არის დანაშაული.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ლ.შალამბერიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ბატონო ირაკლი, თქვენ პასუხი გაგცათ უკრაინის პრეზიდენტმა, როდესაც გამოვიდა პირდაპირი ეთერით და თქვა, რომ იმედგაცრუებულია საქართველოს ხელისუფლების პოზიციით. მან მადლობა გადაუხადა საქართველოს მოსახლეობას. ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არ გვინახავს უკრაინის მხარდამჭერ აქციაზე. რაც შეეხება ქალბატონი მარეხისა და მისი კოლეგის გამოსვლას, ეს არის „სფიჩი“, რომელიც უნდა თქმულიყო აქ, ეს ოფიციალური პოზიციაა და საბედნიეროდ, არ ასახავს ქართველი ხალხის აზრს. 2008 წელთან და თუნდაც იმ მოვლენებთან დაკავშირებით რაც ახლა ხდება ქვეყანაში, მთავარი არის არა კვლევები, არამედ, მთავარია ქართული საზოგადოება, ყველა: ახალგაზრდა, მოხუცი, ქალი, კაცი, რომელიც საქართველოს ყველა ქალაქში მხარს უჭერდა უკრაინას. ელემენტარული მხარდაჭერა არც ერთ სახელმწიფო თანამდებობის პირს არ გამოუხატავს და 4-5 დღის შემდეგ გამოიფხიზლა ვიღაცამ და თქვა, რომ მხარს უჭერდნენ უკრაინელ ხალხს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ჩემს პოზიციებს მე საჯაროდ ვაფიქსირებ ყოველთვის. ამით, თანადგომა არ გამოიხატება. ამას არ ელოდება ჩვენგან უკრაინელი მეგობრები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **მ.ჭოხონელიძე** (პარტია „ქართული ოცნება“): „ბატონებო, იმ აქციაზე დგომა სჯობს თუ ქმედება, ჰუმანიტარული ტვირთი, რომ შევუგროვოთ უკრაინელ ოჯახებს. მე ომში ვერ წავალ, არ შემიძლია იმში წასვლა, მაგრამ სხვაგვარად დავეხმარები ამ ქვეყანას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრეიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ის რა განცხადება გააკეთა ქალბატონმა მარეხმა, ვერაფრით მოვიწონებთ. დაზაფრულები ვართ, განერვიულებულები, არ გვძინავს ღამე, იმის გახსენება „ნაციონალური მოძრაობისათვის“, თუ როგორ ჩაღეჭა მიხეილ სააკაშვილმა ჰალსტუხი, უადგილოა. პატივი მივაგეთ უკრაინაში დაღუპული გმირების ხსოვნას და შემდეგ თქვენ ისეთი განცხადება გააკეთეთ. გთხოვთ, ამას მეორედ ნუ გაიმეორებთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მოგესალმებით. პირველი შეკითხვა მინდა დავუსვა ქალბატონ მარეხს. ქალბატონო მარეხ, მინდა შეგახსენოთ, როდესაც მთავარსარდალზე საუბრობთ, თქვენ 2018 წელს აქტიურად იყავით ჩართულები მოქმედი მთავარსარდლის არჩევაში, იმ მთავარსარდლის არჩევაში, რომლის სიტყვები და წიგნიც გამოყენებულ იქნა საქართველოს წინააღმდეგ ევროპის სასამართლოში. ბატონო თემურ, თქვენც მინდა გიპასუხოთ, მესმის თქვენი ნოსტალგია „კომუნისტური პარტიისა“ და თქვენი საქმიანობის შესახებ, მესმის ახლა იცინით, კომუნისტური ტაქტია ეს.“

აქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „თანადგომა ასეთი ტიპის ურთიერთობებით არ გამოიხატება. თანადგომაა ის, რომ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა 302 ათასი ლარის ჰუმანიტარულ ტვირთს აგროვებს და აგზავნის უკრაინაში, თანადგომა არის ის, რომ დღეს ქალაქში 200 უკრაინელი გვყავს, არც ერთი წამით არ მიუტოვებია ისინი ადგილობრივ

ხელისუფლებას. საქმით ვდგავარ იქ და როდესაც ჩავთვლი საჭიროდ, აქციაზე მაშინ მივალ. დაპირისპირებით ვინც სარგებლობს, ეს არის რუსეთი. “

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მინდა ცოტა შორიდან დავიწყო, მაგრამ ვეცდები, მაქსიმალურად მოკლე დროში ჩავეტიო. მინდა ავხსნა ჩემი სათქმელი და ჩემი მეგობრების სათქმელი. ებრაელი მეგობარი მყავს, რომელმაც მითხრა, რომ ყველა ადამიანი არის ეგოისტი და მინდა დაგარწმუნო ამაში, თუ შეგიძლია ერთი ხელით მეორე ხელი მოიფხანოო და რომ დავიწყე ხელის მოფხანა, მითხრა: „ხომ ხედავ, შენს მხარეს მოძრაობ, საპირისპიროდ კი არაო, ადამიანის ბუნებაა ესო“. დღეს ჩვენ რაზეც ვლაპარაკობთ, ეგოიზმი გვალაპარაკებს და მინდა სწორად გაიგოთ, ჩვენ ყველას ჩვენი სამშობლო გვტკივა, ჩვენი მამული გვტკივა, არ გვინდა ის დატრიალდეს ჩვენს სამშობლოში, რაც უკრაინაში ხდება. ის ბოროტება, რომ შევაჩეროთ, რაც უკრაინაში ტრიალებს, მაგიტომ ვლაპარაკობთ და ვსაუბრობთ ასე. ამიტომ ვართ ასე აღტკინებულები. ვისაც იქ შეუძლია, იქ აჩერებს ამ ბოროტებს, ვისაც აქ შეუძლია რაღაცნაირად ხელი შეუშალოს, აქედან უნდა შევუშალოთ ამ ბოროტებას ხელი. ამაზეა საუბარი. აქ შეკითხვები დაისვა პოლიტიკურ შეხედულებებთან დაკავშირებით, ვერც ერთი ამ მაგიდასთან და აქ მყოფი ადამიანი ვერ დამარწმუნებთ, რომ თქვენ ეს ქვეყანა არ გიყვართ, ვერ დავიჯერებ ამას, რადგან აქ იზრდებიან თქვენი შვილები, გვინდა მათ კარგი მომავალი ჰქონდეთ. ქალბატონმა მარეხმა რაც არ უნდა სიტყვები თქვას და ისტორია გაიხსენოს, დღევანდელ პერიოდსაც ისტორია დაწერს. იქ გამოჩნდება ყველაფერი და ახლა გვერდიდან და წიაღიდან დანახული შეიძლება სხვანაირად ჩანდეს ყველაფერი. მე სურვილი მაქვს, საქართველოს სიყვარულში შევეცილოთ ერთმანეთს. უკრაინასთან მიმართებით თუ რამეა გასაკეთებელი, სამეგობროდ, საძმაკაცოდ ერთად გავაკეთოთ, ერთად შევაგროვოთ. ოდესმე გვითქვამს, რომ თქვენს ინიციატივას გვერდით არ დავუდგებით? პირიქით, იგივე მინდა ვიგრძნოთ, რომ ჩვენს გამოხატულ ინიციატივაზე თქვენ დაგვიდგეთ გვერდით და ამ საქართველოს სიყვარულში შევეცილოთ ერთმანეთს. ესაა ჩემი სათქმელი და ბოდიშს გიხდით, რომ გამიგრძელდა სიტყვა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გ.ბასილაძე**: „პირველ რიგში, მინდა მადლობა ვუთხრა ჩემს კოლეგას, მართლაც რომ კონსტრუქციული გამოსვლა გქონდათ. ცოტა ქმედებაშიც გამოვხატოთ ეს. პირველ რიგში, უკრაინაში გასაგზავნი ტვირთის შეგროვებას ვგულისხმობ. კარგად იცით, რომ ამის ორგანიზებას აკეთებს ქალაქის ხელმძღვანელობა, აგროვებს და გზავნის. იმ ტვირთს არ აწერია „ქართული ოცნება“. აწერია მხოლოდ - ქალაქი ქუთაისი. გავერთიანდეთ ყველა ამ საქმეში. ასევე გიპასუხებთ იმ განცხადებაზე, რომ მიტინგებზე არც ერთი ხელისუფლების წარმომადგენელი არ იყავითო, თუ მიტინგი უკრაინის მხარდამჭერია, იქ არ უნდა ყოფილიყო პლაკატები: „თავისუფლება მიშას“. ეს არ იყო უკრაინის სუფთად მხარდამჭერი მიტინგები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე** (პარტია „ქართული ოცნება“)**:** „მე არ ვაპირებდი დღეს აქ განცხადების გაკეთებას, მაგრამ არ შემიძლია, ერთი საკითხი დავტოვო ყურადღების გარეშე, რასაც ასაკობრივი ბულინგი და დისკრიმინაცია ჰქვია. როცა ადამიანი არის 60 წელს გადაცილებული და არის საკრებულოს წევრი, ის რომ ვინმე წამოაძახოს, რომ კომუნისტური სისტემის დროს დაიბადა, აბსოლუტურად მიუღებელია და ძალიან გთხოვთ, დაუკვირდით თქვენს ზრდილობას და გამონათქვამებს. ბატონი თემურ ნადირაძე გაზრდილია ქალაქში, გამორჩეულ ოჯახში, მეცნიერის ოჯახში, მთელი ცხოვრება მუშაობდა მთავარ ექიმად, საკრებულოს წევრი გახდა მთავარ ექიმად მუშაობის დროს, რატომ უნდა შესტკიოდეს გული კომუნისტურ პარტიაზე, გარდა იმისა, რომ იმ ეპოქაში დაიბადა. ბოდიში მოიხადეთ აქ, ან გულში მაინც მოიხადეთ. “

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ადამიანს აქვს არჩევანის საშუალება. რაც შეეხება ბოდიშის მოხდას, ამ თემაზე ბოდიშის მოხდას არ ვაპირებ.“

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-5 სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ 2022 წლის 30 მარტის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**წინამდებარე სხდომის დღის წესრიგის პროექტს მე-16 ნომრად დაემატა საკითხი: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-5 სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი ეკა გრიგორაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის
სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 125-ე მუხლის მე-8 და მე-12 – მე-16 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შედგენის /გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა - ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 იანვრის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი ეკა გრიგორაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის
სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 სექტემბრის №162 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი ეკა გრიგორაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის
სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე

4. „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისის“ მიერ საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა – ანგარიშგების წესების, საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, საჯარიმო ქვითრის (ოქმის) აღრიცხვის ჟურნალის, დაბრუნებული, გაუქმებული ან გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ჩამოწერის აქტისა და დაბრუნებული, გაუქმებული ან გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის (ოქმის) აღრიცხვის ჟურნალის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 იანვრის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული
განყოფილების ხელმძღვანელი

5. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი იუზა უგულავა
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოადგილე

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცებისა და შეფასების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი დავით ნიშნიანიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა
და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

7. მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შედეგების შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი ამირან კოპალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
თავმჯდომარე

8. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი მირზა მამასახლისი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

9. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი მირზა მამასახლისი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

10. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირის III შესახვევი) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი მირზა მამასახლისი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

11. „თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის №67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი მირზა მამასახლისი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

12. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თიბისი ფეისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის №376 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი მირზა მამასახლისი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

13. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „ოპპასათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი მირზა მამასახლისი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

14. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი მირზა მამასახლისი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

15. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №53ბ) ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სარგებლობაში გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი მირზა მამასახლისი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

16. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი ივანე ჟორჟოლიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი

დღის წესრიგის პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს მე-5 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26 - მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-5 სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2022 წლის 30 მარტის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(დადგენილების პროექტის პრეამბულაში ფრაზის: „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ წინ, დაემატა სიტყვები: „საქართველოს კანონის“; დადგენილების პირველ მუხლში გასწორდა პუნქტების ნუმერაცია, კერძოდ, პირველი პუნქტის შემდეგ, პუნქტი: „3“, შეიცვალა პუნქტი: „2-ით“)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ქალბატონმა **ე.გრიგორაშვილმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გრ.შუშანია:** „მე ერთად შევეხები პირველ, მეორე და მესამე საკითხებს. წინა მოწვევის საკრებულოზეც იყო მსგავსი შენიშვნები. ჩვენ შეცდომების გასწორების ბიურო უფრო გამოვდივართ. მეორე და მესამე საკითხები ეხება საჯარიმო ქვითრის ფორმის ფორმირებას. რა ვერ დასრულდა ეს საკითხი. ეს ხომ არ არის რთული საკანონმდებლო ფორმა. დავეკითხოთ თბილისს, ან სხვა რომელიმე ქალაქს. მიღებულ გადაწყვეტილებებში შეგვაქვს მუდმივად ცვლილებები,

მოგვდის შენიშვნები. ან კანონის კითხვა არ ვიცით, ან არ გაგვაჩნია კომუნიკაცია იმ უწყებებთან, რომელიც ამ შენიშვნებს გვწერს. ხომ შეიძლება მანამდე დავუკავშირდეთ, მივწეროთ, ვკითხოთ რას ფიქრობენ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მინიმუმ ერთი წელი ხომ უნდა ვიმუშაოთ მიღებული გადაწყვეტილებებით. ეს არ ეხება იმ მომენტს, როდესაც კანონში შედის ცვლილება. არ შეიძლება, მუდმივად ვასწოროთ ერთი და იგივე გადაწყვეტილება ყოველ მომდევნო სხდომაზე. კარგი იქნება თუ ვიმუშავებთ ამ თემაზე."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ჩვენ გვაქვს პრაქტიკა და გამოცდილება იმისა, რომ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, რომელიც ეხება ადმინისტრირების ნაწილს, ვსარგებლობთ შესაძლებლობით და აღმასრულებელ რგოლთან შეთანხმებით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში წინასწარ ექსპერტიზისათვის ვაგზავნით აქტის პროექტებს. ამ კონკრეტულ საკითხზე, მთავრობის ადმინისტრაციისაგან მიღებულ საკონსულტაციო დასკვნაში ჩამოყალიბებული რეკომენდაციების გათვალისწინების შემდეგ, საკრებულოს მიერ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებებზე, მთავრობის ადმინისტრაციისაგან მოვიდა ახალი რეკომენდაციები. მაქსიმალური რაც შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ მერიისა და საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილებები და შესაბამისი დარგობრივი კომისია, მათ შორის, თქვენი წარმომადგენლობაც, უფრო მეტად აქტიურად უნდა ვიყოთ ჩართული ამა თუ იმ პროექტის განხილვის პროცესში. აღმასრულებელთან ძალიან კარგი კომუნიკაცია დგება საკითხების წარმოდგენის დროს, მაგრამ რიგ მიმართულებებში ჩვენ გვჭირდება დამატებითი ძალისხმევა და ამაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება ზედამხედველობის სამსახურთან, შესაბამის იურიდიულ განყოფილებასთანაც ალბათ, მეტი სამუშაოა ამ მიმართულებით და ვფიქრობ, რომ გვექნება კონკრეტული შედეგები. გეთანხმებით, რომ რაღაც ფორმით ორჯერ გვიწევს ერთი და იგივე გადაწყვეტილების მიღება. სამწუხაროდ, ეს მოვლენაც გვაქვს და ამაზე მაქსიმალურად უნდა ვიმუშაოთ. ამასთან დაკავშირებით აპარატსაც ჰქონდა არა ერთი დავალება და მაქსიმალურად შევეცდებით, რომ ჩვენი, საკრებულოს მხრიდან, ეს საკითხი აღმოიფხვრას."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, თ.მესხი, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 21 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 5-მა წევრმა, ბატონებმა: გრ.შუშანიამ, გ.კილაძემ, ლ.შალამბერიძემ, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ნ.ბიბილეიშვილმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის, **ე. გრიგორაშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის **N14 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება N14** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-2 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 125-ე მუხლის მე-8 და მე-12 – მე-16 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შედგენის / გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა - ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის**

დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 იანვრის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2022 წლის 30 მარტის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(დადგენილების პროექტის პირველ მუხლში სიტყვის: „დადგენილების“ შემდეგ, ჩაემატა N7 დადგენილების საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნების თარიღი და ნომერი შემდეგი რედაქციით: „(www.matsne.gov.ge, 28.012022, N010250020.35.123.016599)“; დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის ბოლოს, სიტყვის: „ელექტრონული“ შემდეგ, ჩაემატა სიტყვა: „საჯარიმო“; გასწორდა დადგენილების პროექტში რედაქციული ხასიათის ხარვეზები)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ქალბატონმა **ე.გრიგორაშვილმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, თ.მესხი, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 21 წევრი, წინააღმდეგი: 2 წევრი, ბატონები: გ.კილაძე, ბ.ბრეგაძე, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 4-მა წევრმა, ბატონებმა: გ.შუშანიამ, ლ.შალამბერიძემ, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ნ.ბიბილეიშვილმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის, **ე. გრიგორაშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის **N15 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 125-ე მუხლის მე-8 და მე-12 – მე-16 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, ელექტრო-ნული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შედგენის / გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა - ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 იანვრის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება N15** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-3 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 სექტემბრის №162 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2022 წლის 30 მარტის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(დადგენილების პროექტის პირველი მუხლი შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:, „მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 სექტემბრის №162 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 06.10.2020, N010250050.35.123.016566), კერძოდ, შეიცვალოს დადგენილების დანართის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:“),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის

პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ქალბატონმა **ე.გრიგორაშვილმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე:** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) „როგორც ჩვენთვის და ჩვენი საზოგადოებისათვის არის ცნობილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარეობს რეორგანიზაციის პროცესი. კითხვა ეხება საკითხის წარმომდგენს, ზედამხედველობის სამსახურს, ვინაიდან, ჩვენთვის გაუგებარია რა სახის და რა ფორმის რეორგანიზაცია მიმდინარეობს მერიაში და შესაბამისად, რეორგანიზაციის შედეგად თუ ზედამხედველობის სამსახური ჩამოყალიბდა სხვა ფორმით, ეს ნორმატიული აქტები, რომლებშიც დღეს შეგვაქვს ცვლილებები, იქნება თუ არა ხელახლა განსახილველი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ქალბატონი **ე.გრიგორაშვილი:** „რომ ჩამოყალიბდება, შემდგომ გავიაროთ, ჯერჯერობით, ამასთან დაკავშირებით, ახლა ვერაფერს ვერ გეტყვით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხ.არველაძე:** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) „შეხება მქონდა მერიაში მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესთან. რა არის რეორგანიზაცია ყველამ კარგად ვიცით. პირველ რიგში, აუცილებელი პირობაა საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის დაწყების შესახებ სამართლებრივ აქტებში მიეთითოს რეორგანიზაციის მიზანი და საჭიროება, რომელიც სამწუხაროდ, ვერ ამოვიკითხეთ ბრძანებებში და აქტებში, რომლებიც მერიის მიერ იქნა გამოცემული. ასევე, ყველა თანამშრომელს დაურიგდა წერილობითი გაფრთხილებები მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ არის გავლილი ის ეტაპები, რომლებიც საჭიროა რეორგანიზაციის მოსამზადებლად. ჩვენ ვიცით, რომ რეორგანიზაციის მომზადება მოიცავს გარკვეულ ეტაპებს. ეს არის

რეორგანიზაციის დაგეგმვა და ასევე არის რეორგანიზაციისთვის საჭირო სამართლებრივ აქტებში გარკვეული ცვლილებები, სტრუქტურის პროექტების შემუშავება და ამის შემდეგ გადავდივართ საშტატო განრიგზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ჩვენ ახლა ვმსჯელობთ კონკრეტულ საკითხზე და ამ საკითხთან დაკავშირებით თუ გაქვთ კითხვა დააკონკრეტოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, გავაგრძელებ სხდომას. ამ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით თუკი გაქვთ რაიმე კონკრეტული კითხვა, საშუალება გაქვთ ფრაქციამ მოიწვიოთ აღმასრულებელი რგოლი, დაეკითხოთ, ამის უფლება აქვს საკრებულოს და შესაბამისად გაგცემენ პასუხს. როდესაც დავასრულებთ საკითების განხილვას, შეგიძლიათ მაშინ დააფიქსიროთ თქვენი აზრი, ახლა, ამ საკითხის განხილვის დროს, არა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, თ.მესხი, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 21 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 6-მა წევრმა, ბატონებმა: გ.შუშანიამ, გ.კილაძემ, ლ.შალამბერიძემ, ბ.ბრეგაძემ, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ნ.ბიბილეიშვილმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის, **ე. გრიგორაშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის **N16 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების

წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 სექტემბრის №162 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ **დადგენილებაN16** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-4 საკითხის - **„შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისის“ მიერ საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა – ანგარიშგების წესების, საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, საჯარიმო ქვითრის (ოქმის) აღრიცხვის ჟურნალის, დაბრუნებული, გაუქმებული ან გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ჩამოწერის აქტისა და დაბრუნებული, გაუქმებული ან გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის (ოქმის) აღრიცხვის ჟურნალის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 იანვრის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2022 წლის 30 მარტის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**დადგენილების პროექტის პრეამბულა შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 125^4 მუხლის, 209^3 მუხლის მე-4 ნაწილის, 239-ე მუხლის 27-ე ნაწილის, 240^1 მუხლის, 242–ე მუხლის მე-4 ნაწილის, 270-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/345 ბრძანებისა და „დოკუმენტის ენობრივი სისწორის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების**

სამინისტროს ადმინისტრაციის 2021 წლის 3 დეკემბრის NMES 9 21 0001304742 წერილის შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:"; დადგენილების პროექტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის დასაწყისში ფრაზის: „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" წინ, ჩაემატა სიტყვები: „საქართველოს კანონის „საქართველოს"; დადგენილების პროექტის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საჩივარი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,პარკინგსერვისის" მიერ, 3 დღის ვადაში, საქმესთან ერთად განსახილველად გადაეგზავნება ზემდგომ ორგანოს (თანამდებობის პირს) - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს"; დადგენილების პროექტის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „4. საჩივრის განმხილველი ორგანო (თანამდებობის პირი) საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი მიღებიდან 30 დღის ვადაში."; დადგენილების პროექტს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-2 მუხლი: „მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე."), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ბატონმა **ი. გიორგაძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ზემოაღნიშნული პროექტის შესახებ დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პარტია „სტრატეგია აღმაშენებელი"): „მცირე დროით, პარკინგის შემთხვევაში, როდესაც რამდენიმე ადამიანმა დატოვა სატრანსპორტო საშუალება, რა ხდება?

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ი.გიორგაძე:** „პრაქტიკა არის შპს-ს „პარკინგსერვისის" მიერ, ასეთ შემთხვევაში, საჯარიმო ქვითრები გაუქმებულა. თუ ყოფილა შემთხვევა, რომ დაუყენებია, წასულა და მალე დაბრუნებულა, ასეთ შემთხვევაში ამოწერილი ოქმები გაუქმებულა. თუმცა, კანონში წერია, რომ თუკი არ აქვს პარკირების გადასახადი გადახდილი, ასეთ შემთხვევაში ჯარიმდება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პარტია „სტრატეგია აღმაშენებელი") **:** „თუ შეიძლება მიეთითოს დროის ეს შუალედი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „ვაპირებთ, რომ „პარკინგსერვისი“ გადავიდეს საათობრივ გადასახადზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, თ.მესხი, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 5-მა წევრმა, ბატონებმა: გ.შუშანიამ, გ.კილაძემ, ლ.შალამბერიძემ, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ნ.ბიბილეიშვილმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის, **ი.გიორგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის **N17 დადგენილების** პროექტში.

(„შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისის“ მიერ საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა – ანგარიშგების წესების, საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, საჯარიმო ქვითრის (ოქმის) აღრიცხვის ჟურნალის, დაბრუნებული, გაუქმებული ან გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ჩამოწერის აქტისა და დაბრუნებული, გაუქმებული ან გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის (ოქმის) აღრიცხვის ჟურნალის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 იანვრის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება N17** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-5 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების**

შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ბატონმა **ი.უგულავამ**.

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გრ.შუშანია:** „როგორც ბატონი იუზასგან ვიცით, იგეგმება უნივერსიტეტის კალათბურთის დარბაზის გადმოცემა. საკრებულოს წინა სხდომაზე ვისაუბრეთ ამ თემაზე და ძალიან ოპერატიულად მოგვარდა. ეს ბავშვები მეტ-ნაკლებად, გადანაწილებული არიან დარბაზებში. ბატონი სოსო შეხვდა 14 და 16 წლამდე ასაკის ბავშვებს. მინდა ვთქვა, რომ ეს მიმართულებები ძალიან კარგად დაიძრა. მესმის, რომ რთულია ფინანსურად ბევრი თემის აღება, მაგრამ საერთაშორისო ტურნირებთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ მართალია, მერია საკმაოდ ეხიდება მშობლებს, მაგრამ ხშირად არის, რომ გაღებული თანხები სრულად არ აფინანსებს მასპინძელ მხარეს. ვიცი, ყველასი ვერა, მაგრამ თუ წელიწადში მოხდება თუნდაც ერთი ტურნირის სრულად დაფინანსება, ცუდი არ იქნება. კარგი იქნება თუ სპორტსკოლასთან დაკავშირებით საჯაროდაც გაკეთდება განცხადება. მე კი ვიცი, მაგრამ ახლა საუბარია იმაზე, რომ ვიღაცას უნდა იმ ტერიტორიაზე კლინიკის აშენება. ნამდვილად არსებობს ასეთი ჭორები. კალათბურთი არის სპორტის ის სახეობა, რომელშიც გამორჩეულები ვართ და ახალი ბავშვებით თუ არ შევავსეთ, არსებული პრობლემები თუ დავტოვეთ, მერე შეიძლება ბავშვთა კალათბურთი საერთოდ დავკარგოთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **იოსებ ხახალეიშვილი:** „ალბათ, დამეთანხმებით იმაში, რომ მხოლოდ ბრმა ვერ დაინახავს იმ საინვესტიციო პროგრამებს,

რომლებიც მიმდინარეობს ქალაქში. 40 მილიონ ლარს გადააჭარბა ამ თანხამ, რომელიც უპრეცენდენტოა ჩვენი ქალაქისთვის. რა თქმა უნდა, შეფერხებები იქნება, მაგრამ ჩვენ ვცდილობთ, განსაზღვრულ ვადაში და უფრო ადრეც დავასრულოთ ის პროექტები, რომლებსაც უშუალოდ თვითმმართველობა ახორციელებს, მაგრამ გაზაფხულის ამინდებმა ცოტა შეგვაფერხა, თუმცა, მალე ქალაქში იქნება ძალიან ბევრი, ახალი, თამამი პროექტი, რომელიც გახდება ჩვენი ქალაქის სავიზიტო ბარათი. აქვე მინდა შევეხო თემას, რომელიც კალათბურთს ეხება. მეც ახალგაზრდობაში კალათბურთელი ვიყავი და სიმპათია ამ სკოლის მიმართ ნამდვილად გამაჩნია. მითქვამს და ვიმეორებ, რომ სანამ მე ვიქნები ქალაქის მერი, ჩემი ხელმოწერა იმ ტერიტორიის გასხვისებაზე არ იქნება. ის გუნდები, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო ტურნირებში, ვარჯიშობენ სპორტის სასახლეში და ამაში მათ ხელი არ შეეშლებათ. ასევე, შენგელიას აკადემიასთან „გალფ“-თან ერთად გვაქვს მოლაპარაკება და „გალფი“ ქუთაისში გეგმავს ღია, „კაუჩუკიანი“ საფარის, თანამედროვე სტადიონის მშენებლობას. ახლა ვმუშაობთ შესაბამისი ლოკაციის მოძებნაზე. რაც შეეხება ტურნირების დაფინანსებას, ამას მხოლოდ კალათბურთთან მიმართებაში ვერ მოვახერხებთ. მესმის, რომ გუნდებს სჭირდება დაფინანსება, მაგრამ სპორტის ყველა სახეობა უნდა დაფინანსდეს ერთნაირად, რათა ერთმანეთში არ იყოს გულისწყვეტა და რაიმე გრანდიოზული დაფინანსება კონკრეტულად რომელიმე სპორტის სახეობის, ჩვენი მხრიდან არ იქნება სწორი. ბოლოს დავადასტურებ იმას, რომ აპრილის ბოლოს, ან მაისის პირველ კვირაში, ჩვენ დავაფუძნებთ და გავმართავთ ქუთაისის ღია პირველობას კალათბურთში. ვმუშაობთ ფედერაციასთან ერთად და ეს იქნება საერთაშორისო ტურნირი. გვაქვს მოლაპარაკება თურქეთის გუნდთან და ვფიქრობ, რომ კალათბურთის ასეთი ისტორიის მქონე ქალაქში მსგავსი პროექტი უნდა იყოს, რაც მომავალში გახდება მოსამზადებელი ეტაპი მომავალი საერთაშორისო ტურნირებისათვის. კალათბურთის გარდა, სპორტის სხვა სახეობებზეც ვზრუნავთ როგორიცაა ჯომარდობა. ბევრი პროექტია და მთავარია ყველაფერი ვაკეთოთ ერთად.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის

პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, **ი.უგულავას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება N18** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-6 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცებისა და შეფასების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე ანგარიში წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **დ.ნიშნიანიძემ.**

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი ანგარიშის თაობაზე, მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ზემოაღნიშნულ ანგარიშთან დაკავშირებით, **განკარგულების** პროექტი 2022 წლის 30 მარტის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პირველი მუხლი შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „მუხლი 1. შეფასდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში დამაკმაყოფილებლად და დამტკიცდეს დანართის შესაბამისად.“)**, ცვლილებით, წარმოადგინა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.**

(განკარგულების პროექტი ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის **N54 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცებისა და შეფასების შესახებ“ **განკარგულება N54** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-7 საკითხის - **„მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შედეგების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ა.კოპალეიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გრ.შუშანია:** „რაც შეეხება აუდიტის დასკვნას, ეს მიუთითებს იმაზე, რომ ბევრი რამაა გამოსასწორებელი. რაც შეეხება სსიპ-

ებისა და ააიპ-ების შექმნას, მაშინ მხოლოდ იურისტები მუშაობდნენ ამ საკითხებზე და ამას სხვათა შორის, „ქართული ოცნების“ წევრები აკრიტიკებდნენ. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, ააიპ-ებში შტატების რაოდენობა გაბერილია სწორედ „ქართული ოცნების“ მიერ. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში, ააიპ-ებში 40 ათასი კაცი მუშაობდა. ეს ეხება ქუთაისსაც. სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, 1 კვადრატულ მეტრზე ერთი ან ერთნახევარი ადამიანი მოდის და ფიზიკურად შეუძლებელია მუშაობა. პასუხისმგებლობა და კონტროლი ამ საკითხზე უნდა დაეკისროს ქალაქის მერს და არა კოლეგიალურ ორგანოს. ეს ნონსესია. შეუძლებელია კომისიამ განახორციელოს მერის ფუნქცია. ჩვენ ისედაც შეგვიძლია მოვიწვიოთ ქალაქის მერი, ვიცე-მერი და მათგან ანგარიში მოვისმინოთ და არა კონტროლი განვახორციელოთ. ეს მიდგომა ლოგიკურია, სამართლებრივადაც სწორია. ეს გახლავთ ჩემი მოსაზრება ამ დასკვნასთან დაკავშირებით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ა.კოპალეიშვილი:** „ეს დასკვნა სწორედ იმას ემსახურება, რომ მოხდეს ააიპ-ების ოპტიმიზაცია, არ იყოს გაბერილი შტატები. დასკვნა მერს კი არ ათავისუფლებს კონტროლის მექანიზმისგან, ჩვენ გვეუბნებიან, რომ ვიყოთ ჩართულები და მაქსიმუმი გავაკეთოთ მიზნების მისაღწევად. რაც შეეხება ააიპ-ების შტატებს, საზომად აღებულია ქალაქების მოსახლეობისა და ააიპ-ებში დასაქმებულთა რაოდენობა. ქუთაისში, მხოლოდ 2.6 პროცენტია დასაქმებული ამ დაწესებულებებში. თბილისი არის ერთადერთი ქალაქი, სადაც ჩვენზე უკეთესი ვითარებაა ამ კუთხით. დასკვნაში არ არის საუბარი, რომ ქუთაისში გვაქვს მაღალი პროცენტულობა. ეს მე ვერ ამოვიკითხე. პირიქით, ქუთაისი თბილისთან ერთად მოყვანილი ვართ, როგორც კარგი მაგალითი. დასკვნა ემსახურება იმას, რომ მოხდეს ააიპ-ების ოპტიმიზაცია და ჩვენ, საკრებულოს გვთხოვენ ჩავერთოთ ამ პროცესში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე,

გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, **ა.კოპალეიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

(„მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შედეგების შესახებ“ **განკარგულება N55** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-8 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მ.მამასახლისმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 21 წევრი, წინააღმდეგი: საკრებულოს 1 წევრი, ბატონი გ.კილაძე, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: საკრებულოს 3-მა წევრმა, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, ბატონმა თ.მესხმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მერვე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **მ.მამასახლისის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება N56** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-9 საკითხის - „**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2022 წლის 30 მარტის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის დანართს დაემატა 191-ე და 192-ე პუნქტები შემდეგი რედაქციით: „191. ქონების დასახელება: არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; მისამართი: ნიკეას ქუჩის 1–ლი შესახვევი N9–ის სამხრეთით; ფართობი: 194.0 კვ.მ.; საკადასტრო კოდი: 03.04.32.659; საწყისი საპრივატიზებო საფასური 1 კვ.მ.-ზე: 130.0; აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ): უპირობოდ; სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა: ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.“ „192. ქონების დასახელება: არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; მისამართი: ზვიად გამსახურდიას გამზირი N48 ა-ს დასავლეთით; ფართობი: მიწა-4349კვ.მ. შენობა-ნაგებობა N1-N4 ; საკადასტრო კოდი: 03.01.24. 523; საწყისი საპრივატიზებო საფასური 1 კვ.მ.-ზე: 591.500 ქონების მთლიანი საწყისი საპრივატიზებო საფასური; აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ): უპირობოდ; სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა: ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.“)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის

ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მ.მამასახლისმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეცხრე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ა.კოპალეიშვილი, გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 22 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: საკრებულოს 1-მა წევრმა, ქალბატონმა: ნ.ბიბილეიშვილმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, მირზა მამასახლისის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის **N57 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ **განკარგულება N57** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-10 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირის III შესახვევი)**

პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2022 წლის 30 მარტის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის სათაურის ფრჩხილში არსებულ ჩანაწერში, სიტყვა: „მდებარე“, შეიცვალა სიტყვით: „მისამართი:“; განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის თარიღი და ნომერი: „2022 წლის 23 მარტის N44-4422082349“)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მ.მამასახლისმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გრ.შუშანია:** „საზოგადოებისათვის ვიტყვი, რომ ჩვენ ნამდვილად არ ვართ თავდაცვის სამინისტროსთვის რაიმეს გადაცემის წინააღმდეგი, რათა თავდაცვისუნარიანობა გამყარდეს, მაგრამ მე ვერ მივიღე პასუხი რა შეიძლება გაკეთდეს კონკრეტულად და ამიტომ, მე ამ საკითზე თავს შევიკავებ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „არსებობს ნდობის ჯგუფი, რომელშიც არის თქვენი წარმომადგენელიც და იქ შეგიძლიათ დასვათ ეს კითხვა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეათე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა საკრებულოს 4-მა წევრმა, ბატონებმა: გ.შუშანიამ, თ.მესხმა, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ნ.ბიბილეიშვილმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეათე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **მ.მამასახლისის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის **N58 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირის III შესახვევი) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ **განკარგულება N58** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-11 საკითხის - **„თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის №67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2022 წლის 30 მარტის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ფრაზის: „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ წინ, დაემატა სიტყვები: „საქართველოს კანონის“; განკარგულების პროექტის პირველი მუხლი გასწორდა რედაქციულად)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მ.მამასახლისმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „კარგია, მეტი შემოსავალი ექნება ქალაქს და ეს ნამდვილად ცივილიზებული პრაქტიკაა გაიჯარება, მაგრამ ხშირ შემთხვევაში პრობლემა იქმნება როდესაც არჩევნები ახლოვდება. თბილისის მაგალითზე ვიტყვი, როდესაც თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ბანერებზე აღმოჩნდა ერთი კონკრეტული კანდიდატის ან პოლიტიკური პარტიის სარეკლამო ბანერები. მე კომისიაზე მქონდა ეს საკითი დასმული, მაგრამ სამწუხაროდ, არ იქნა გაზიარებული. ახლა მინდა გავაჟღერო საკრებულოს სხდომაზე, რომ ხელშეკრულებით, პირობით მივცეთ მათ და ყველა პოლიტიკური სუბიექტი ჩადგეს თანაბარ პირობებში. თუ მას უნდა, რომ საერთოდ არ განათავსოს პოლიტიკური რეკლამა ყველასთვის, იყოს ეს საერთო და თუ რომელიმე პოლიტიკურ ჯგუფს მისცემს, მიშინ იგივე პირობებში შესთავაზოს სხვასაც. ჩემი აზრით, ეს იქნება კარგი პრეცენდენტი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პარტია „სტრატეგია აღმაშენებელი“): „რატომ არ შეიძლება შევიძინოთ 5 ავტობუსი, შევქმნათ კონკურენციის მეტი სპექტრი. ფასი გავზარდოთ და ყიდვის უფლება მივცეთ მინიმუმ სამი წლით. 20 წელიწადში ეს ავტობუსები რა მდგომარეობაში იქნება არავინ იცის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **მ.მამასახლისი:** „ფასის კალკულაციას ჩვენ არ ვახდენთ. ამას ყველაფერს აკეთებს დამოუკიდებელი ექსპერტი. რაც შეეხება წლების განსაზღვრას, ჩვენ ამაზე ვისაუბრეთ კომისიაზე. აუქციონი იყო გამოცხადებული, მაგრამ დაინტერესება არ ყოფილა. რაც შეეხება კონკრეტულ პირობას, ჩვენ მოვიკვლიეთ ბაზარი და ბაზარზე არსებობს რამდენიმე სარეკლამო კომპანია, რომლებისგანაც არის დაინტერესება ამ პირობებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის ინტერესია მთლიანი თანხა

ერთიანად მოიძიოს ბიუჯეტში, ხოლო დანარჩენს განსაზღვრავს ბაზარი, როცა გამოცხადდება აუქციონი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ჩვენ აქ გამოვდივართ თვითმმართველობის ინტერესებიდან და პირობებს ვაყალიბებთ ჩვენ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „სატრანსპორტო კომპანიას დავავალეთ ეს თემა. თბილისმაც და ბათუმმაც გამოაცხადა 30 წლით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი, წინააღმდეგი: საკრებულოს 4 წევრი, ბატონები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, თ.მესხი, ქალბატონი ნ.ბიბილეიშვილი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: საკრებულოს 2-მა წევრმა, ბატონმა კ.გურულმა, ქალბატონმა ხ.არველაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **მ.მამასახლისის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის **N59 განკარგულების** პროექტში.

(„თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის №67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **განკარგულება N59** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-12 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თიბისი ფეისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის №376 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2022 წლის 30 მარტის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების პროექტის პრეამბულაში ფრაზის: „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ წინ, დაემატა სიტყვები: „საქართველოს კანონის“; განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის თარიღი და ნომერი: „2022 წლის 23 მარტის N44-4422082350“; განკარგულების პროექტის პირველი მუხლის მეორე აბზაციდან გამეორების გამო, ამოღებულ იქნა ფრაზა: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის №376 განკარგულების დანართი“**), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მ.მამასახლისმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა

ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **მ.მამასახლისის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის **N60 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თიბისი ფეისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის №376 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება N60** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-13 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „ოპპასათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2022 წლის 30 მარტის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის თარიღი და ნომერი: „2022 წლის 23 მარტის N44-4422082354“**), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მ.მამასახლისმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ზემოაღნიშნული განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, დაისვა შეკითხვა, გაკეთდა გნმარტება:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა): „ჩვენი გუნდის ინიციატივა იყო, რომ ამ ხელშეკრულებაში შესულიყო ცვლილება და შშმ პირებისთვის მომხდარიყო სპეციალური აპარატების დამატება ქალაქის გარკვეულ ნაწილში. თუ მოხდა ამ საკითხის განხილვა შესაბამის კომპანიასთან.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **მ.მამასახლისი:** „რა თქმა უნდა, თქვენი მოსაზრება იქნა გათვალისწინებული და შესაბამის ხელშეკრულებში იქნება ასახული.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეცამეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეცამეტე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და

ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **მ.მამასახლისის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის **N61 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „ოპპასათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება N61** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-14 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2022 წლის 30 მარტის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების პროექტის პრეამბულაში „საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტი შეიცვალა „დ“ ქვეპუნქტის „დ.ზ“ ქვეპუნქტით. აქვე ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის თარიღი და ნომერი: „2022 წლის 23 მარტის N44-4422082355“; განკარგულების პროექტის პირველ მუხლში მიეთითა საჯარო რეესტრის ამონაწერის საკადასტრო კოდი შემდეგი რედაქციით: „N03.02.26.555“**), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მ.მამასახლისმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეთოთხმეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 23 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: საკრებულოს 2-მა წევრმა: ქალბატონმა ხ.არველაძემ, ბატონმა გ.კილაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეთოთხმეტე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **მ.მამასახლისის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის **N62 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება N62** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-15 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №53ბ) ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სარგებლობაში გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2022 წლის 30 მარტის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის სათაურის ფრჩხილში არსებულ ჩანაწერში ჩაემატა სიტყვა: „მისამართი:"; განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის თარიღი და ნომერი: „2022 წლის 23 მარტის N44-4422082353")**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მ.მამასახლისმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე, ბატონი **გრ.შუშანია:** „მხოლოდ ინფორმაციისათვის დავაფიქსირებ ჩვენ პოზიციას რაც ვთქვით კომისიის სხდომაზე. როდესაც დაისვა კითხვა რატომ არ ვყიდით ამ ქონებას, ითქვა, რომ ეს არის ბაზრობის ნაწილი. მერიას არანაირად არ ესაქმება, რომ ბაზრობის ტერიტორია გასცეს იჯარით და მართოს. როგორც მერიიდან მაქვს ინფორმაცია, იჯარის ხელშეკრულების დასრულების შემდეგ მოხდება აღნიშნული ქონების გასხვისება და ამ პირობით ჩვენ მხარს დავუჭერთ. ბაზრობები და მსგავსი ობიექტები ნამდვილად არ უნდა იყოს მერიის საკუთრებაში. უნდა მოხდეს მისი განკერძოება, ვინაიდან, კერძო პირი უფრო შეძლებს მის მოვლას, ვიდრე ჩინოვნიკი, ვინც არ უნდა იყოს. ეს არის ჩვენი პოზიცია და მინდოდა ამის დაფიქსირება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეთხუთმეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 24 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: საკრებულოს 1-მა წევრმა: ბატონმა გ.კილაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეთხუთმეტე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **მ.მამასახლისის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის **N63 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №53ბ) ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სარგებლობაში გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება N63**ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-16 საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა, ბატონმა **ი.ჟორჟოლიანმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეთექვსმეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეთექვსმეტე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის, **ი. ჟორჟოლიანის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება N19** ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, საკრებულოს სხდომაზე დამსწრე მოქალაქეების მიერ, გაკეთდა **განცხადებები:**

მოქალაქე, ქალბატონი, **ა.ინჯია:** „ბატონო ირაკლი, მინდა გითხრათ თქვენს მიერ შესწავლილ განცხადებაზე, როდესაც მოგმართეთ წერილობით, სრულიად არაადეკვატურად იქნა შესწავლილი, რომელიც შემდეგ გადავაგზავნე მერიაში. მერიამ პასუხი გამცა, რომ თითქოს უკვე იყო კომისია. კომისიის შექმნის თაობაზე იყო ეს ჩემი განცხადება და არ დამიკმაყოფილა, იმ მიზეზით, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერიაში განმეორებით კომისიის შექმნა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნიაო, ასეთი კომისია ბუნებაში არ არსებობდა, არც შექმნილა, რომ შექმნილიყო, მაშინ, თქვენს იურიდიულ კომისიას, რომელმაც შეისწავლა ეს ჩემი განცხადება და იქ უნდა აღმოეჩინა, რომ თურმე კომისია ყოფილა და მე მოქალაქე რაღაცას გატყუებთ თქვენ და ზუსტად იმ დასკვნაში, რომელიც გადაეგზავნა საკრებულოდან მერიას, არავითარი კომისია არ არის ნახსენები, ეს ძალიან დიდი სიცრუეა. მე არ ვიცი, ეს

სიცრუე ორკესტრირებულად შეიქმნა ამ საკრებულოსა და აღმასრულებელ რგოლს შორის, მაგრამ ახლა მინდა გთხოვოთ, ამ განცხადებაზე ჩემი დასწრება, საკითხი თქვენთვის ცნობილია: მერიის მიერ ჩემი კანონიერი მოთხოვნის არ დაკმაყოფილება, ჩემ საქმეზე სასამართლოს 2016 წლის ივლისის დადგენილების არშესრულების თაობაზე, რის გამოც მე მარტოხელა და მარტოსულ, სოციალურად დაუცველი და ხანდაზმული პენსიონერი, ვიმყოფები ყოველგვარ ზეაღმატებულ გარემოში, ძაღლის წამების ჩათვლით. თუმცა აქ უნდა დამეწერა, რომ ეს შექმნილია არა ჩვეულებრივი, ფიზიკური პირის მიერ, არამედ, ქუთაისის მერიის მიერ და წლების განმავლობაში. ბევრი სათხოვარი თქვენთან არ მაქვს, ერთადერთი თხოვნა და წინადადება მაქვს, ახლანდელი მოწვევის საკრებულოს იურიდიულმა კომისიამ სრულყოფილად შეაბრუნოს ეს განცხადება და განიხილოს, გადაამოწმოს და ხელახლა განიხილეთ და შეისწავლეთ ჩემი საქმე სრულყოფილად. შეიძლება მე აქედან გამყვეს ცინიკური მზერები, მაგრამ მე ამდენი წელია ჩემს საქმეს დავდევ, ვარ ერთი ჩვეულებრივი მოქალაქე, არასდროს არანაირი თანამდებობის პირი არ ვყოფილვარ, მაგრამ არც მოჩანჩალე ადამიანი, საკმაოდ მაღალკვალიფიციური სამსახურები და შრომები მაქვს გაკეთებული და არ აქვს მნიშვნელობა ვინ ამირევს მე ცხოვრებას, ვიღაც უცხო თუ ჩემი ქალაქის მოქალაქე, სადაც დავიბადე და მესამე თაობის მოქალაქე ვარ. მე ვფიქრობ, თვითმმართველობა უნდა იყოს და არა თვითნებობა ანდა ჭიჭიკია - ბიჭიკიას კანტორა, რომელიც ასე ჩვეულებრივი ადამიანის განცხადებას 40 წელია ატრიალებს. არ შეიძლება ასე. ის რაც ჩემია, მშობლიურმა ხელისუფლებამ წამართვა სამანქანო გზა, როცა სასამართლოს მიერ 25 გადაწყვეტილებაა გამოტანილი ამ ჩემს საქმეზე, დაწყებული კომუნისტებიდან დღეის ჩათვლით და ვერადა ვერ მივაღწიე სიმართლეს, 25 სასამართლოდან 25 ჩემს სასარგებლოდ არის და არ ჭირდება ამას კომისია? რომელიც შეისწავლის და მართლაც დაადგენს რომ ეს ასეა? მე მეტი სათქმელი არაფერი არ მაქვს, თუ თქვენ რაიმე კეთილშობილურს იზამთ, ეს არ არის თქვენს ნებაზე დამოკიდებული, ეს თქვენი ვალდებულებაა და თუ შეასრულებთ ამ თქვენ ვალდებულებას და რამდენიმე დღეში შემატყობინებთ, კარგი იქნება. თუკი ხელახალა შეატრიალებს კომისია მა საქმეს და განიხილავს, მე ვითანამშრომლებ და ბევრი დროც არ დაჭირდებათ, თორემ არც ისე

უინტერესო საქმე არ არის, საკმაოდ დიდი საქმეა. ეზო გავყავი კომუნისტების დროიდან და არაფრით არ უნდათ, რომ ამისი პრეცედენტი დაიშვას, რომ ჩვეულებრივმა მოქალაქემ მოუგო ეს საქმე თვითმმართველობას. ფიზიკური პირის რომ ყოფილიყო მას ამდენი ხანს მოვუვლიდი, მაგრამ ის რაც მე გავაკეთე და ის ქონება რაც გავყავი სახელმწიფო საკუთრება იყო და ის ჩავრთე ამ საქმეში მესამე პირად, მაგრამ მოსამართლემ მისცა მას ჩემი მოპასუხის სტატუსი. ამ შენობაში ეს ჩემი ბოლო შემოსვლაა. მეტს აღარ გავაკეთებ და ამ კვირაში ველოდები მე თქვენგან პასუხს. თქვენ როგორც ექიმს, ბატონო ირკალი მაშინ კი გითხარით და კი მოგხვდათ გულზე და მაშინ მომისმინეთ და მითხარით მერთან შედითო, მაგრამ ვერ მივიღე სათანადო ყურადღება მისგან."

მოქალაქე, ბატონი **ნ.ალავიძე:** „მინდა მოგმართოთ თხოვნით, ძალიან ბევრი ავარია ხდება ნიკეას ქუჩაზე. ყურადღების მიმქცევი არავინ არ არის, ბევრიც გარდაიცვალა. მოსახლეობა ვითხოვთ, რომ გავაკეთოთ ერთი შუქნიშანი, ნიკეას N58-თან, სუფთა სახლი, რომ არის აი იქ, მეორე შესახვევში, მეორე მხარეს გადასვლა ძალიან საშიშია, რადგან ძალიან ბევრი მანქანა დადის."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „შეგიძლიათ წერილობით მოგვმართოთ, თვითმმართველობის გარდა ძალიან ბევრ სტრუქტურებთან არის შესათანხმებელი, ამიტომ დაწერეთ განცხადება, მუნიციპალიტეტში მიბრძანდით და დაგეხმარებიან."

მოქალაქე, ბატონი **ნ.ალავიძე:** „მუნიციპალიტეტმა უარი მითხრა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **ზ.მამასახლისი:** „იქ ცალმხრივი მოძრაობის ზოლია, განსაკუთრებული არაფერი ხდება და რა ხდება იქ თქვენი აზრით, რა არის თქვენი წინადადება?"

მოქალაქე, ბატონი **ნ.ალავიძე:** „მე გზის პირას ვცხოვრობ. ავტობუსი რომ ჩერდება 19 ნომერი, შუქნიშანი არ არის. შესახვევთან უნდა იყოს შუქნიშანი და თქვენი დახმარება მინდა ამ საკითხზე. საპატრულო არაფერს იზამს თქვენს გარეშე. მაქვს განცხადებაც და მოსახლეობის ხელმოწერილიც მაქვს, პირველ დეკემბერს ჩავაბარე განცხადება და ახლაც თან მაქვს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ჩააბარეთ განცხადება საკრებულოში და დაგეხმარებით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-5 სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრებისა და მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს მე-5 სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-5 სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე Irakli Shengelia Digitally signed by Irakli Shengelia DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE Date: 2023.06.22 11:55:56 +04'00' ირაკლი შენგელია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, თ.ნიქაბაძისა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.